საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №23/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 26 თებერვლის №23 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 მაისის №23/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის 24 დეკემბერს მიღებული განჩინება დღემდე არ ჩაბარებია (საქმე --).

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ წერილობითი თხოვნის მიუხედავად საქმე ზეპირი მოსმენით განხილულიყო, სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმე. ამასთან, სასამართლო შემადგენლობის ვინაობის გაგებასთან დაკავშირებით მოსამართლისგან პასუხი დღემდე არ მიუღია და აღნიშნულ განცხადებაზე მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარისგან გაეცა წერილობითი პასუხი. ასევე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმის შედეგი მისთვის ცნობილი გახდა 2020 წლის 25 თებერვალს თანაშემწესთან სატელეფონო საუბრის მეშვეობით, სადაც თანაშემწემ განმარტა, რომ მისთვის უცნობი იყო წინა დღის შედეგი და სასამართლოს შემადგენლობა, ხოლო სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა 2020 წლის 24 თებერვალს (საქმე --).

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 30 ივლისს -- --, -- --, -- -- და სხვებმა განცხადებით მიმართეს -- -- სასამართლოს, ამავე სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

2018 წლის 31 აგვისტოს განჩინებით განცხადება -- -- სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა მიჩნეული. 2019 წლის 16 აგვისტოს განჩინებით -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა საქმისწარმოება -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების შესახებ.

2019 წლის 6 სექტემბერს -- --, -- --, -- -- და სხვებმა კერძო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში და 2019 წლის 16 აგვისტოს განჩინების გაუქმება ითხოვეს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 ნოემბრის განჩინებით -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად (მოსამართლე - -- --).

2019 წლის 3 დეკემბერს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; დარჩა უცვლელი -- -- სასამართლოს 2019 წლის 16 აგვისტოს განჩინება.

2019 წლის 24 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრის ავტორთა წარმომადგენელს გაეგზავნა 2020 წლის 5 მარტს.

2.2. 2018 წლის 6 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, ამავე სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სასამართლო სხდომები გაიმართა 02.07.2019; 15.10.2019; 30.10.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, ცნობილი იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2020 წლის 11 თებერვალს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენით დანიშვნის, მოსამართლის საქმისგან აცილების და საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის შესახებ ბრძანების ჩაბარების თხოვნით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა, საქმის განხილვისაგან მოსამართლე -- -- აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; დარჩა უცვლელად -- -- სასამართლოს 2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 მაისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 26 თებერვლის №23 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება. [1]

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას.[2]

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ საქმის განხილვის ვადების გონივრულობის შეფასება მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე. მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531
[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოსამართლემ განჩინება მიიღო 2019 წლის 24 დეკემბერს, ხოლო წარმომადგენელს გაეგზავნა 2020 წლის 5 მარტს, განჩინების მიღებიდან 2 თვის და 12 დღის დაგვიანებით.

დროის მოკლე პერიოდის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით აღნიშნული განჩინება არ საჩივრდება, მხარისათვის დაგვიანებით განჩინების ჩაბარებას არ გამოუწვევია მისთვის საპროცესო უფლების შელახვა/შეზღუდვა.

4.2. საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, განჩინება გამოიტანება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად.

მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო საქმის განხილვის ფორმის გადაწყვეტაში არ არის შეზღუდული და ზეპირ მოსმენას დანიშნავს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმის სირთულიდან გამომდინარე, სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამორკვევა, რასაც განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არა ქონდა.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას, საქმის განმხილველი სასამართლო შემადგენლობის შესახებ ბრძანების ჩაბარების თაობაზე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოში საქმის წარმოებისას აღნიშნულის თაობაზე ბრძანება არ იწერება. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის საფუძველზე, -- -- კერძო საჩივარი განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --, რაზეც საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამიდან შესაძლებელია მხოლოდ საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, ხოლო შემადგენლობაში სხვა მოსამართლეებს საქმის წარმოების ელექტრონუილი პროგრამა წინასწარ არ განსაზღვრავს.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ფაქტი რომ თანაშემწემ არ იცოდა საქმის შედეგი და სასამართლოს შემადგენლობა განჩინების მიღების დღეს, ვერ ჩაითვლება რაიმე სახის დარღვევად მოსამართლის მხრიდან. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოსამართლის თანაშემწე იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, ადგენს სათანადო დოკუმენტების პროექტებს, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს.

შესაბამისად, თუ აღნიშნული დოკუმენტის პროექტი თანაშემწეს არ შეუდგენია და მოსამართლისგან არ ქონდა მითითება, ბუნებრივია აღნიშნულთან დაკავშირებით არც ექნებოდა ინფორმაცია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №23/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი